



უსადენო მოდემზე მომსახურების აქტი (პირობები)

სს „სილქნეტი“ (ს/ნ 204566978, მისამართი ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N95 (შემდგომში: „სილქნეტი“) წარმოდგენილი სახით და

აბონენტის სახელი, გვარი/ სახელწოდება _____ პირადი ნომერი/ საიდენტიფიკაციო კოდი _____, მისამართი: _____ (შემდგომში: „აბონენტი“) აღნიშნული აქტის (შემდგომში: „აქტი“) შედგენით და მასზედ ხელმოწერით, ვადასტურებთ შემდეგს:

1. „სილქნეტმა“ გაუწია, ხოლო „აბონენტმა“ მიიღო შემდეგი მომსახურება (შემდგომში: „მომსახურება“):

„აბონენტის“ დროებით სარგებლობაში არსებული **Wireless Access Point** მოწყობილობის (სერიული ნომერი: _____), საგარანტიო მომსახურება (მოწყობილობის ტექნიკური მხარდაჭერა);

„აბონენტის“ საკუთრებაში არსებული მოწყობილობის (უსადენო ტექნოლოგიის ინტერნეტის მიმღები მოწყობილობა) ინსტალაცია/კონფიგურაცია;

„აბონენტის“ საკუთრებაში არსებული მოწყობილობის (უსადენო ტექნოლოგიის ინტერნეტის მიმღები მოწყობილობა) ხარვეზების აღმოფხვრა („აბონენტთან“ ვიზიტისას ამავე მოწყობილობის ტექნიკური მხარდაჭერა);

„აბონენტის“ საკუთრებაში არსებული **LTE WiFi** მოწყობილობის (მოდემი) ხარვეზების აღმოფხვრა („აბონენტთან“ ვიზიტისას ამავე მოწყობილობის ტექნიკური მხარდაჭერა).

(მოინიშნება შესაბამისი მათგანი)

2. Wireless access point „მომსახურების“ (მოწყობილობის კონფიგურაცია ან/და გადატვირთვა ან/და თრახელშუთინგი) ღირებულება შეადგენს 10 (ათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. აღნიშნულ ღირებულებაში გათვალისწინებულია 10 (ათი) მეტრი სახარჯი მასალის (შემდგომში: „კაბელი“) ღირებულება. 10 (ათი) მეტრზე მეტი „კაბელის“ გამოყენებისას, „მომსახურების“ ღირებულება (შემდგომში: „ღირებულება“) გაიზრდება 10 (ათი) მეტრი „კაბელის“ ზემოთ გამოყენებული ყოველი 1 (ერთი) მეტრი „კაბელის“ შესაბამისი ღირებულებით.

3. „აბონენტის“ საკუთრებაში არსებული მოწყობილობის (უსადენო ინტერნეტის მიმღები მოწყობილობა) ინსტალაციის/კონფიგურაციის ან/და ამავე მოწყობილობის ტექნიკური დახმარების ღირებულება შეადგენს 10 (ათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. აღნიშნულ ღირებულებაში გათვალისწინებულია 10 (ათი) მეტრი სახარჯი მასალის (შემდგომში: „კაბელი“) ღირებულება. 10 (ათი) მეტრზე მეტი „კაბელის“ გამოყენებისას, „მომსახურების“ ღირებულება გაიზრდება 10 (ათი) მეტრი „კაბელის“ ზემოთ გამოყენებული ყოველი 1 (ერთი) მეტრი „კაბელის“ შესაბამისი ღირებულებით.

4. „აბონენტის“ საკუთრებაში არსებული LTE WiFi მოწყობილობის (მოდემი) ინსტალაციის/კონფიგურაციის ან/და ამავე მოწყობილობის ტექნიკური დახმარების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. აღნიშნულ ღირებულებაში არ შედის სახარჯი მასალის (შემდგომში: „კაბელი“) ღირებულება. „კაბელის“ გამოყენებისას, „მომსახურების“ ღირებულება გაიზრდება ყოველი 1 (ერთი) მეტრი „კაბელის“ შესაბამისი ღირებულებით.

5. „აბონენტს“ მიერ, „ღირებულების“ გადახდა, მოხდება „სილქნეტის“ ინტერნეტ – მომსახურების ყოველთვიურ სააბონენტო გადასახადთან ერთად;

6. „აბონენტს“ „მომსახურებასთან“ დაკავშირებით, „სილქნეტის“ მიმართ, რაიმე სახის მოთხოვნა ან პრეტენზია არ გააჩნია.

7. „აქტი“ შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი რჩება „სილქნეტს“, ხოლო მეორე – „აბონენტს“.

კომპანია:
სს „სილქნეტი“

აბონენტი: _____

წარმომადგენლის სახელ, გვარი: _____
თანამდებობა: _____

სახელი, გვარი: _____